# ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №31
2024 წლის 28 ივნისი

ქ. ტყიბული

**„ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 თებერვლის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის შესაბამისად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

**მუხლი 1**

„ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 თებერვლის №6 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში (ვებგვერდი, 01/03/2024 წელი; სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.125.016503) შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. **დანართის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:**

**„ვ) სამსახურის საქმიანობისას, მათ შორის სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტების პროექტებში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფაზე.“.**

2. **დანართის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„5. შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს მერის დავალებით ახორციელებს ერთი-ერთი საჯარო მოხელე.“.**

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ტყიბულის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **იოსებ რობაქიძე**